

ჩინეთის ორმაგი თამაში რუსეთ-უკრაინის ომში



„სამოქალაქო იდეა“ უკვე გამოქვეყნებული პუბლიკაციის -
„შეუძლია თუ არა რუსეთს მეტი მეგობრისა და მხარდაჭერის პოვნა
უკრაინის წინააღმდეგ ომში?

ცენტრალური აზიის ქვეყნების პოზიცია და რეაქციები“ -
შემდეგ საზოგადოებას ახალ, ამჯერად, რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ
პეკინიდან მომდინარე ტაქტიკური და სტრატეგიული ნარატივების კრებულს -
„ჩინეთის ორმაგი თამაში რუსეთ-უკრაინის ომში“ სთავაზობს.

სამოქალაქო
იდეა

China In The World *

 **NED** | NATIONAL
ENDOWMENT
FOR
DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD



ჩინეთის ორგანიზაცია რუსეთ-უკრაინის ომში

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ მთელი ცივილიზებული სამყარო გააერთიანა, გამოიწვია რუსეთის აგრესიასა და უკრაინაში შეჭრას, [პრეზიდენტ პუტინის ომის დამნაშავეს უწოდებენ](#) და ამხელენ სუვერენული ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში. ევროკავშირი, ნატო, ევროპის საბჭო და ამ ორგანიზაციების ცალკეული წევრი ქვეყნები ყოველდღიურად ამკაცრებენ სანქციებს ომის დანაშაულებში უშუალოდ მონაწილე პირების ან მათი მოკავშირეების და მეგობრების მიმართ; რუსეთს სანქციებს უწესებენ [ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, იაპონია](#) და სხვა ქვეყნები; მსოფლიოს წამყვანი, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები აბსოლუტურად მკაფიო და უმძიმეს შეფასებებს აკეთებენ რუსული აგრესიის თაობაზე, ყოველ ასეთ განცხადებაში ნათლად იკითხება ვინ არიან ბოროტმოქმედები და გამირები. ამ ფონზე ჩინეთი, როგორც მზარდი გლობალური ზესახელმწიფოს ამბიციების მქონე ქვეყანა, არ ჩქარობს მკაფიო პოზიციონირებას, ოფიციალური განცხადებები ნეიტრალური ტერმინოლოგიით გამოირჩევა და ჰუმანიტარული ხასიათის სენტიმენტებით შემოიფარგლება. ამის დასტურია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის ყველა გამოსვლა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომებზე, გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიებზე, იმავე ტონშია პეკინიდან წამოსული ნარატივიც. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ ჩინეთის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და სუპერსახელმწიფოებრივ ამბიციებს, რუსეთთან ომამდე გამყარებულ ეკონომიკურ კავშირებს, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნება პეკინის პოზიცია მომავალში - გააფართოებს კავშირებს სანქცირებულ მოსკოვთან თუ შეინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას ამ ცვალებადი რეალობის პირობებში.

ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ოფიციალური ჩინეთი აცხადებს, რომ აპირებს ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას როგორც [რუსეთთან, ასევე უკრაინასთან](#). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩინეთმა თავი შეიკავა რუსეთის მიერ უკრაინაში „შეჭრის“ აღიარებისგან 2022 წლის 2 მარტს, გაეროს სხდომაზე გამართული კენჭისყრისას (გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია- ES-11/1). მეტიც, ჩინეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებულმა მედიასაშუალებებმა ქვეყანაში რუსული პროპაგანდისტული წყაროებიდან მიღებული დეზინფორმაციული ნარატივები გაავრცელეს, რათა შეცდომაში შეიყვანონ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ჩინურენოვანი მოსახლეობა მთელ მსოფლიოში.

იმავედროულად, ჩინეთი ოფიციალურად აღიარებს და მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებს მხარეებს, დაუყოვნებლივ დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები რუსეთსა და აშშ-ს და რუსეთსა და ევროკავშირს შორის. [ბაიდენ - სი ძინპინის 18 მარტის შეხვედრა](#) და შემდგომი გზავნილები პეკინიდან, კიდევ ერთი დემონსტრირებაა ორმაგი პოლიტიკის ან, შეიძლება ითქვას, ერთგვარი დაბალანსებული მიდგომის. ბაიდენმა გააფრთხილა ჩინეთის ლიდერი, თავი შეიკავოს რუსეთის სამხედრო ტექნიკით დახმარებისგან, რადგან ასეთი გადაწყვეტილება პეკინისთვის მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდება.

ჩინეთის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომში, პეკინის ორმაგი თამაში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუსეთის თანამშრომლობა მრავალმხრივია, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო ღრმავდებოდა. ეჭვგარეშეა, რომ ეს თანამშრომლობა ეფუძნება ორი ავტორიტარული რეჟიმის, ინდივიდუალურ სტრატეგიულ ინტერესებს და ერთ ზოგად, საგარეო პოლიტიკურ მიზანს – მათი მთავარი კონკურენტის, აშშ-ის შეკავებას. ჩინურ-რუსული თანამშრომლობა მრავალფეროვანია და [სხვადასხვა სფეროში ხორციელდება](#). მათ შორის არის: სამხედრო, ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკის, ენერგეტიკული სფეროები, ასევე ვლინდება სინქრონიზებული მოქმედებები საერთაშორისო ორგანიზაციებში. თუმცა, მათი თანამშრომლობა და კოორდინირებული საგარეო მოქმედება არ არის დაზღვეული სირთულეებისა და გამოწვევებისგან, რომელთა შორისაა მაგალითად დომინანტია ცენტრალურ აზიაში ან უფრო მეტიც, ეკონომიკური მეტოქეობა ევრაზიაში. ორმხრივი ალიანსი სხვადასხვა წონას ატარებს მონაწილე მხარეებისთვის. მაგალითად, რუსეთისთვის გაცილებით რთული იქნებოდა დასავლეთთან დაპირისპირება ჩინეთის მხარდაჭერის გარეშე. სწორედ ამიტომ, ყოველდღიურად მოწმენი ვხდებით მოსკოვის დაჟინებული მცდელობის, [ჩინეთი მხარდამჭერ სუბიექტად აქციოს ამ სრულიად გაუმართლებელ და სასტიკ ომში](#).

თუმცა პეკინი ამ ალიანსში განსხვავებულ მდგომარეობაშია, დამოუკიდებლად იზრდება და ვითარდება, როგორც გლობალური ზესახელმწიფო და თუ სტრატეგიულად შევავსებთ,

რუსეთის საზღვრების გაფართოება სულაც არ შედის მის გრძელვადიან ინტერესებში. მიუხედავად ამისა, ორივე მხარე ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას საერთო მტრის - დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსების წინააღმდეგ და ცდილობენ მთელ კონტინენტზე ავტორიტარული მმართველობის მოდელის განვრცობას.

თანამშრომლობა და ეკონომიკური კავშირები



ვლადიმირ პუტინი და სი ძინპინი პეკინში მოლაპარაკებების დაწყებამდე.
ფოტოგრაფი: რამილ სიტდიკოვი/AP

<https://www.theguardian.com/world/2022/feb/04/xi-jinping-meets-vladimir-putin-china-russia-tensions-grow-west>

უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე კვირით ადრე, ჩინეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა 15 შეთანხმება, გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, რასაც მოჰყვა შეთანხმებები სამარ-თალდამცავ, საგარეო საქმეთა, ვაჭრობის, საინვესტიციო სოფლის მეურნეობის, გლობალური სანავიგაციო თანამგზავრული სისტემების, გაზის შექმნისა და გაყიდვის და ტექნოლოგიურ სფეროებში. ჩინეთმა გამოაცხადა, რომ დაიწყებს ხორბლის იმპორტს რუსეთიდან და ასევე ხელი მოაწერა 30-წლიან შეთანხმებას რუსული გაზის გაზრდილი იმპორტის შესახებ. შეთანხმებები ჯერ კიდევ ძალაშია და არავითარი განცხადებები მათი გაუქმების ან აღსრულების ვადების გადავადების შესახებ არ გაკეთებულა, რაც ირიბად გვახსენებს არსებულ ურთიერთვალდებულებებს და, იმავდროულად, რწმენას ან სულაც იმედს, რომ პუტინი გაიმარჯვებს.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ რუსეთმა წამოიწყო [117,5 მილიარდი დოლარის ღირებულებების](#) გარიგება ჩინეთთან მისი ნავთობისა და გაზის მიწოდების ექსპორტზე. ეს შემთხვევა ცვლის კრემლის ენერგეტიკული ბაზრის ორიენტაციას და მიმართავს მას აღმოსავლეთისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ პირობებში [როდესაც ევროპა ცდილობს რუსულ გაზზე დამოკიდებულება შეამციროს, პრეზიდენტი პუტინი თავის მხრივ ახალ მომხმარებლებს ეძებს და შესაბამისად ამცირებს დამოკიდებულებას ევროპულ მოხმარებაზე.](#) რუსულმა ენერგეტიკულმა გიგანტმა - „გაზპრომმა“ ხელი მოაწერა 30-წლიან კონტრაქტს ჩინურ კომპანია CNPN-თან და განაცხადა, რომ აპირებს, გაზის მიწოდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წელიწადში 48 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზარდოს, თავდაპირველი შეთანხმება მხოლოდ 38 მილიარდ კუბურ მეტრს მოიცავდა.

რუსეთისთვის ამ უმძიმეს დროს ჩინეთი, როგორც მთავარი სავაჭრო პარტნიორი, მისი ეკონომიკის თითქმის ერთადერთი მხსნელია. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პეკინს შეიძლება სრულიად სხვა პრიორიტეტები ჰქონდეს, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მათი ურთიერთდამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, ჩინეთის მოსკოვთან ვაჭრობა მისი [მთლიანი სავაჭრო მოცულობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს](#), ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალია აშშ-სა და ევროკავშირთან. ამავდროულად, რუსულ ბანკებთან და კომპანიებთან არსებული კონტრაქტებიდან გამომდინარე არაპირდაპირი სანქციების შიშმა, შესაძლოა, აიძულოს პეკინი, შეაჩეროს/შეამციროს კრემლის დახმარება და მასთან ახლო კავშირებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

მაგალითისთვის ჩინეთი ამცირებს ნახშირის იმპორტს რუსეთიდან [სახელმწიფო ბანკების არასტაბილურობიდან გამომდინარე](#). რუსეთის SWIFT სისტემიდან გამკვეთის შემდეგ, ბანკების უმეტესობა, რომლებიც ოპერირებდნენ დოლარში დენომინირებულ კონტრაქტებზე, იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ გადახდის ოპერაციები, რამაც კიდევ უფრო გაართულა მოსკოვთან ვაჭრობა ნახშირზე. ამიტომ, პროცესი შეჩერებულია, ვიდრე არ მიაღწევნ კონსენსუსს ჩინურ ვალუტაში ვაჭრობის შესახებ.

თუმცა პარალელურად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სი ძინპინი პეკინის ზამთრის ოლიმპიადამდე პუტინს მიმართავდა როგორც მის ["საუკეთესო მეგობარს"](#) და 2019 წელს, დაბადების დღეზე, ["საუკეთესო და ძველი მეგობარი"](#) უწოდა, რაც მათ მჭიდრო კავშირებზე მიუთითებს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რადგან ჩინეთს არ ჰყავს დასავლელი მოკავშირეები, ის მხარს უჭერდა რუსეთის გამოთქმულ პრეტენზიას ნატოს გაფართოების შესახებ [გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე](#):

„ჩინეთი მხარს უჭერს საერთო, ყოვლისმომცველ და მდგრად უსაფრთხოების კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ერთი ქვეყნის უსაფრთხოება არ შეიძლება დაცული იყოს სხვა ერის/ერების უსაფრთხოების შელახვის ხარჯზე... რუსეთის ლეგიტიმურ უსაფრთხოების მისწრაფებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და სათანადოდ იქნეს განხილული“; - განაცხადა ჩინეთის წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოში, 25 თებერვალს.

შეჭრა და სანაქსიები

პეკინი თავს არიდებს გამოიყენოს სიტყვა „შეჭრა“ და ეძებს გამოსავალს, რომელიც დასავლეთს მიზნის მიღწევაში შეუშლის ხელს.

„ჩინეთის კომუნისტურ პარტიას არ ჰყავს მეგობრები, არ აქვს გრძნობები ან თანაგრძნობის უნარი - მას აქვს მხოლოდ ინტერესები. ეგზისტენციალური ხასიათი აქვს ლიბერალურ დასავლეთთან წინააღმდეგობას, განსაკუთრებით აშშ-ს მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩინელი კომუნისტების პოზიციას“ - აღნიშნა პოლონელმა ჟურნალისტმა და ანალიტიკოსმა იედჟეი ვინეცკიმ Polityka.pl-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.



Ukraine - Security Council | Resolution Veto | United Nations | UNTV Live (25 Feb) - Official

მთავარი კითხვა კი დღეს ასეთია - შეიძლება თუ არა ჩინეთი იყოს ქვეყანა, რომელიც დაეხმარება კრემლს დასავლური სანქციებით გამოწვეული ზიანის შემსუბუქებაში? ეს კითხვა ერთნაირად აწუხებს მოსკოვსაც და დასავლეთის დედაქალაქებსაც. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ვანგ ვენბინმა, 25 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოფიციალური ჩინეთი ეწინააღმდეგება რუსეთის მიმართ სანქციების გამოყენებას, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ეფექტურ გზას. გაეროს უშიშროების საბჭოს მეორე საგანგებო სხდომაზე ჩინეთის ელჩმა გაეროში ჟან ჯუნმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა:

„ამჟამად, ამ უაღრესად რთულ და სენსიტიურ ვითარებაში, უშიშროების საბჭომ უნდა მოახდინოს სწორი რეაგირება და იმავდროულად, საპასუხო მოქმედებები დიდი სიფრთხილით უნდა იქნას შერჩეული. ყველა ქმედება, რეალურად, უნდა იყოს ხელშემწყობი კრიზისის განმუხტვისთვის, და არ უნდა დაუმატოს უკვე გაღვივებულ ცეცხლს ნავთი. არასათანადო მოპყრობამ, ზეწოლამ და სანქციებმა, შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ მეტი მსხვერპლი, მეტი ქონების დაკარგვა, უფრო რთული და ქაოტური ვითარება და მეტი სირთულე. ამან შეიძლება მთლიანად დაუზუროს კარი კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და საბოლოოდ სწორედ უდანაშაულო ადამიანების დიდი რაოდენობა გახდეს მსხვერპლი.“

ჩინეთის მხრიდან რუსეთისთვის სანქციების დაწესების გაკრიტიკება არ გულისხმობს რუსეთის მხარდაჭერას უკრაინის წინააღმდეგ ომში, მათ აქვთ შერჩეული ერთგვარი სტრატეგია - აკრიტიკებენ სანქციების პოლიტიკას, რაც მკაფიოდ გამოჩნდა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, ჰუა ჩუნინგის რიტორიკულ კითხვაში: „მოაგვარა თუ არა აშშ-ის დაწესებულმა სანქციებმა პრობლემა?“ .

23 თებერვალს პრესისთვის გამართულ ბრიფინგზე ჰუა ჩუნინგმა განაცხადა:

„ჩინეთის მთავრობის პოზიცია არის შემდეგი: გვჯერა, რომ სანქციები არასდროს ყოფილა ფუნდამენტური და ეფექტიანი გზა პრობლემების გადასაჭრელად და ჩინეთი ყოველთვის ეწინააღმდეგება ნებისმიერ უკანონო, ცალმხრივად დაკისრებულ სანქციებს“...

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პეკინი თანაუგრძნობს მოსკოვს და ეწინააღმდეგება სანქციების დაწესებას, რაც ერთგვარად თავდაცვითი მექანიზმია ჩინეთისათვის, თუმცა მისი მიზანი არაა მყისიერად დაეხმაროს პუტინს, რათა მან გვერდი აუაროს სანქციებს.

როგორც ჩინეთის საბანკო და სადაზღვევო მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ, გუო შუკინგმა, ხაზგასმით აღნიშნა, [„ქვეყანა არ მიიღებს მონაწილეობას სანქციებში, მაგრამ ის არც რამე შეღავათს შესთავაზებს“](#). ეს პოზიცია დაადასტურა ჩინეთის განვითარების ბანკის, აზიური ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, (AIIB), გადაწყვეტილებებმაც, რომელმაც [„მთელი თავისი საქმიანობა შეაჩერა რუსეთში სანამ ომი მიმდინარეობს“](#).

ჩინეთის ქმედებების ბუნდოვანება ძირითადად იმით აიხსნება, რომ მოსკოვთან მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში ყოფნის მიუხედავად, იგი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და ამტკიცებს, რომ მისი სუვერენიტეტი უნდა იყოს [„პატივსაცემი და დაცული“](#).

სამხედრო დახმარება

13 მარტს, Financial Times-მა, New York Times-მა და რამდენიმე სხვა პოპულარულმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ [კრემლი პეკინს სთხოვდა სამხედრო დახმარებას](#) (რაკეტებს, თვითმფრინავებს, დაზვერვასთან დაკავშირებულ აღჭურვილობას, დრონებს, ჯავშანტექნიკას, სამხედრო მანქანებს), უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრისთვის. ჩინურმა მხარემ უარყო აღნიშნული ინფორმაცია და მას აშშ-ის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია უწოდა, თუმცა მოგვიანებით, იგივე მედიასაშუალებები იუწყებოდნენ, რომ პეკინი სრულ მზადყოფნას და ღიაობას აცხადებდა [მიაწოდოს რუსეთს მოთხოვნილი იარაღი](#).

მათ შორის, საჰაერო რაკეტები. ევროკავშირის ლიდერებმა, სანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დაადასტურეს, რომ ჩინეთი [განიხილავს რუსეთისთვის სამხედრო დახმარების მიწოდებას](#).

ეს გარემოებები აშშ-ის და ევროკავშირის ოფიციალური პირების ყურადღების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ისინი გამუდმებით აფრთხილებენ ჩინეთს, არ შეეცადოს რუსეთის გადარჩენას დასავლური სანქციებისაგან. ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ პეკინი ცდილობს ფარულად დაეხმაროს მოსკოვს, მაშინ როცა საჯაროდ მშვიდობისმოყვარე შუამავლის როლი აქვს მორგებული და მხარეებს მოუწოდებს ომის დიპლომატიური გადაწყვეტისკენ, ხოლო დანარჩენ მსოფლიოს, რომ ["დააფასონ მშვიდობა" აზიის რეგიონში](#).

ჩინეთი, როგორც მშვიდობისმოყვარი? გაეროში ხმის მიცემისგან თავშეკავება

ჩინეთი ორმაგ თამაშს თამაშობს, მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები კი აგრძელებენ ჩინეთის კრიტიკას მკაფიო პოზიციის უქონლობის გამო. მაგალითად, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მორისონმა, გაკიცხა პეკინი ["მკაცრი საპასუხო რეაქციის არქონის გამო"](#). საწინააღმდეგოდ, ჩინეთმა არა მხოლოდ არ მოიწონა სანქციები, არამედ, თავდაპირველად, [დაადანაშაულა ვაშინგტონი ევროპაში რუსეთ-უკრაინის ომის გაღვივებაში](#). ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა, ჰუა ჩუნინგმა მიანიშნა, რომ აშშ იყო ["დამნაშავე" "ცეცხლის გაღვივებაში"](#). ეს განცხადება უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე აშშ-ის მუდმივი გაფრთხილებების გამო გაკეთდა. ჩინელი მეცნიერი, შიენ იი (Shen Yi), რადიკალური იყო პოზიციის დაფიქსირებისას, მან [რუსეთისთვის ნატოს გაფართოების საფრთხე 1960-იანი წლების კუბის სარაკეტო კრიზისს შეადარა](#) და აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკით, აშშ და მისი პარტნიორები მიზნად ისახავენ აკონტროლონ საერთაშორისო წესრიგი.

მოგვიანებით, ჩინეთის რიტორიკა შეიცვალა. მან მშვიდობისმოყვარის და დიალოგის ინიციატორის როლი მოირგო, თუმცა, იმავდროულად, გამუდმებით თავს იკავებდა კენჭისყრისგან „რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ“ რეზოლუციის მიღებისას.

Item 5 - Draft resolution A/ES-11/L.1
Aggression against Ukraine

| | | | | | | |
|--|---|--|--|---|--|---|
| <input type="checkbox"/> AFGHANISTAN | <input type="checkbox"/> CAMEROON | <input type="checkbox"/> FINLAND | <input type="checkbox"/> KUWAIT | <input type="checkbox"/> NEPAL | <input type="checkbox"/> SAUDI ARABIA | <input type="checkbox"/> UKRAINE |
| <input type="checkbox"/> ALBANIA | <input type="checkbox"/> CANADA | <input type="checkbox"/> FRANCE | <input checked="" type="checkbox"/> KYRGYZSTAN | <input type="checkbox"/> NETHERLANDS | <input checked="" type="checkbox"/> SENEGAL | <input type="checkbox"/> UNITED ARAB EMIR... |
| <input checked="" type="checkbox"/> ALGERIA | <input checked="" type="checkbox"/> CENTRAL AFR REP.... | <input type="checkbox"/> GABON | <input checked="" type="checkbox"/> LAO PDR | <input type="checkbox"/> NEW ZEALAND | <input type="checkbox"/> SERBIA | <input checked="" type="checkbox"/> UNITED KINGDOM |
| <input type="checkbox"/> ANDORRA | <input type="checkbox"/> CHAD | <input type="checkbox"/> GAMBIA | <input type="checkbox"/> LATVIA | <input checked="" type="checkbox"/> NICARAGUA | <input type="checkbox"/> SEYCHELLES | <input checked="" type="checkbox"/> UNITED REP TANZA... |
| <input checked="" type="checkbox"/> ANGOLA | <input type="checkbox"/> CHILE | <input type="checkbox"/> GEORGIA | <input type="checkbox"/> LEBANON | <input type="checkbox"/> NIGER | <input type="checkbox"/> SIERRA LEONE | <input type="checkbox"/> UNITED STATES |
| <input type="checkbox"/> ANTIGUA-BARBUDA | <input checked="" type="checkbox"/> CHINA | <input type="checkbox"/> GERMANY | <input type="checkbox"/> LESOTHO | <input type="checkbox"/> NIGERIA | <input type="checkbox"/> SINGAPORE | <input type="checkbox"/> URUGUAY |
| <input type="checkbox"/> ARGENTINA | <input type="checkbox"/> COLOMBIA | <input type="checkbox"/> GHANA | <input type="checkbox"/> LIBERIA | <input type="checkbox"/> NORTH MACEDONIA | <input type="checkbox"/> SLOVAKIA | <input type="checkbox"/> UZBEKISTAN |
| <input checked="" type="checkbox"/> ARMENIA | <input type="checkbox"/> COMOROS | <input type="checkbox"/> GREECE | <input type="checkbox"/> LIBYA | <input type="checkbox"/> NORWAY | <input type="checkbox"/> SLOVENIA | <input type="checkbox"/> VANUATU |
| <input type="checkbox"/> AUSTRALIA | <input checked="" type="checkbox"/> CONGO | <input type="checkbox"/> GRENADA | <input type="checkbox"/> LIECHTENSTEIN | <input type="checkbox"/> OMAN | <input type="checkbox"/> SOLOMON ISLANDS | <input type="checkbox"/> VENEZUELA |
| <input type="checkbox"/> AUSTRIA | <input type="checkbox"/> COSTA RICA | <input type="checkbox"/> GUATEMALA | <input type="checkbox"/> LITHUANIA | <input checked="" type="checkbox"/> PAKISTAN | <input type="checkbox"/> SOMALIA | <input checked="" type="checkbox"/> VIET NAM |
| <input type="checkbox"/> AZERBAIJAN | <input type="checkbox"/> COTE D'IVOIRE | <input type="checkbox"/> GUINEA | <input type="checkbox"/> LUXEMBOURG | <input type="checkbox"/> PALAU | <input checked="" type="checkbox"/> SOUTH AFRICA | <input type="checkbox"/> YEMEN |
| <input type="checkbox"/> BAHAMAS | <input type="checkbox"/> CROATIA | <input type="checkbox"/> GUINEA-BISSAU | <input checked="" type="checkbox"/> MADAGASCAR | <input type="checkbox"/> PANAMA | <input type="checkbox"/> SOUTH SUDAN | <input type="checkbox"/> ZAMBIA |
| <input type="checkbox"/> BAHRAIN | <input checked="" type="checkbox"/> CUBA | <input type="checkbox"/> GUYANA | <input type="checkbox"/> MALAWI | <input type="checkbox"/> PAPUA NEW GUINEA | <input type="checkbox"/> SPAIN | <input checked="" type="checkbox"/> ZIMBABWE |
| <input checked="" type="checkbox"/> BANGLADESH | <input type="checkbox"/> CYPRUS | <input type="checkbox"/> HAITI | <input type="checkbox"/> MALAYSIA | <input type="checkbox"/> PARAGUAY | <input type="checkbox"/> SRI LANKA | |
| <input type="checkbox"/> BARBADOS | <input type="checkbox"/> CZECH REPUBLIC | <input type="checkbox"/> HONDURAS | <input type="checkbox"/> MALDIVES | <input type="checkbox"/> PERU | <input checked="" type="checkbox"/> SUDAN | |
| <input type="checkbox"/> BELARUS | <input type="checkbox"/> DEM PR OF KOREA | <input type="checkbox"/> HUNGARY | <input checked="" type="checkbox"/> MALI | <input type="checkbox"/> PHILIPPINES | <input type="checkbox"/> SURINAME | |
| <input type="checkbox"/> BELGIUM | <input type="checkbox"/> DEM REP OF THE C... | <input type="checkbox"/> ICELAND | <input type="checkbox"/> MALTA | <input type="checkbox"/> POLAND | <input type="checkbox"/> SWEDEN | |
| <input type="checkbox"/> BELIZE | <input type="checkbox"/> DENMARK | <input type="checkbox"/> INDIA | <input type="checkbox"/> MARSHALL ISLANDS | <input type="checkbox"/> PORTUGAL | <input type="checkbox"/> SWITZERLAND | |
| <input type="checkbox"/> BENIN | <input type="checkbox"/> DJIBOUTI | <input type="checkbox"/> INDONESIA | <input type="checkbox"/> MAURITANIA | <input type="checkbox"/> QATAR | <input type="checkbox"/> SYRIAN ARAB REP... | |
| <input type="checkbox"/> BHUTAN | <input type="checkbox"/> DOMINICA | <input type="checkbox"/> IRAN (ISLAMIC REP...) | <input type="checkbox"/> MAURITIUS | <input type="checkbox"/> REP OF KOREA | <input checked="" type="checkbox"/> TAJIKISTAN | |
| <input checked="" type="checkbox"/> BOLIVIA | <input type="checkbox"/> DOMINICAN REP... | <input checked="" type="checkbox"/> IRAQ | <input type="checkbox"/> MEXICO | <input type="checkbox"/> REP OF MOLDOVA | <input type="checkbox"/> THAILAND | |
| <input type="checkbox"/> BOSNIA-HERZEGOVI... | <input type="checkbox"/> ECUADOR | <input type="checkbox"/> IRELAND | <input type="checkbox"/> MICRONESIA (FS) | <input type="checkbox"/> ROMANIA | <input type="checkbox"/> TIMOR-LESTE | |
| <input type="checkbox"/> BOTSWANA | <input type="checkbox"/> EGYPT | <input type="checkbox"/> ISRAEL | <input type="checkbox"/> MONACO | <input type="checkbox"/> RUSSIAN FED... | <input type="checkbox"/> TOGO | |
| <input type="checkbox"/> BRAZIL | <input checked="" type="checkbox"/> EL SALVADOR | <input type="checkbox"/> ITALY | <input checked="" type="checkbox"/> MONGOLIA | <input type="checkbox"/> RWANDA | <input type="checkbox"/> TONGA | |
| <input type="checkbox"/> BRUNEI DARUSSAL... | <input type="checkbox"/> EQUATORIAL GUINEA | <input type="checkbox"/> JAMAICA | <input type="checkbox"/> MONTENEGRO | <input type="checkbox"/> SAINT KITTS-NEVIS | <input type="checkbox"/> TRINIDAD-TOBAGO | |
| <input type="checkbox"/> BULGARIA | <input type="checkbox"/> ERITREA | <input type="checkbox"/> JAPAN | <input type="checkbox"/> MOROCCO | <input type="checkbox"/> SAINT LUCIA | <input type="checkbox"/> TUNISIA | |
| <input type="checkbox"/> BURKINA FASO | <input type="checkbox"/> ESTONIA | <input type="checkbox"/> JORDAN | <input checked="" type="checkbox"/> MOZAMBIQUE | <input type="checkbox"/> SAINT VINCENT-GR... | <input type="checkbox"/> TURKEY | |
| <input checked="" type="checkbox"/> BURUNDI | <input type="checkbox"/> ESWATINI | <input checked="" type="checkbox"/> KAZAKHSTAN | <input type="checkbox"/> MYANMAR | <input type="checkbox"/> SAMOA | <input type="checkbox"/> TURKMENISTAN | |
| <input type="checkbox"/> CABO VERDE | <input type="checkbox"/> ETHIOPIA | <input checked="" type="checkbox"/> KENYA | <input checked="" type="checkbox"/> NAMIBIA | <input type="checkbox"/> SAN MARINO | <input type="checkbox"/> TUVALU | |
| <input type="checkbox"/> CAMBODIA | <input type="checkbox"/> FIJI | <input type="checkbox"/> KIRIBATI | <input type="checkbox"/> NAURU | <input type="checkbox"/> SAO TOME-PRINCIPE | <input checked="" type="checkbox"/> UGANDA | |

IN FAVOUR:141 AGAINST:5 ABSTENTION:34

(Source: <https://www.youtube.com/watch?v=THDHTlaSb50>)

მანამდე, თებერვლის ბოლოს, ჩინეთი ასევე შეუერთდა არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ინდოეთის პოზიციას და თავი შეიკავა გაეროს იმ რეზოლუციისთვის ხმის მიცემისგან, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრას გმობდა.

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ გაკვეთილები წარსულის უკიდურესად მტკივნეული გამოცდილებიდან, რომელიც ეფუძნება ჩინეთის მხრიდან კენჭისყრისას თავის შეკავებას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უკრაინის საკითხი არ არის ის, რაც მხოლოდ დღეს გაჩნდა და არც არსებული ვითარებაა მოულოდნელი. ეს არის სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში“, – აღნიშნა ჟანგ ჯუნმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

მიუხედავად თავშეკავებისა, ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენელი გაეროში აგრძელებს მშვიდობისმყოფელის როლის მორგებას და ამტკიცებს შემდეგს:

„დღევანდელ კონტექსტში, ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა გამოიჩინოს თავშეკავება და თავიდან აიცილოს დაძაბულობის შემდგომი ესკალაცია. მიგვაჩნია, რომ უკრაინის საკითხის მშვიდობიანი მოგვარების კარი ბოლომდე არ არის დახურული და არც უნდა იყოს. ჩინეთმა არაერთხელ აღნიშნა, რომ უკრაინის საკითხზე რთული ისტორიული კონტექსტი არსებობს და რომ არსებული ვითარება მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია. ჩინეთის პოზიცია ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ ყოველთვის თანმიმდევრულია. (2022 წლის 23 თებერვალი);

„ჩვენ გვჯერა, რომ ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა უნდა იყოს დაცული და გაეროს წესდების მიზნები და პრინციპები ერთობლივად უნდა იყოს აღსრულებული. ჩვენ ყოველთვის მოვუწოდებთ ყველა მხარეს, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები ერთმანეთის პრობლემების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლის საფუძველზე. ჩვენ მივსალმებით და მხარს ვუჭერთ ყველა მცდელობას კონფლიქტის დიპლომატიური გადაწყვეტისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთის ფედერაციას და უკრაინას ამ საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოგვარებაში“. (2022 წლის 25 თებერვალი);


„ჩინეთი მხარს უჭერს და წახალისებს ყველა დიპლომატიურ ძალისხმევას, რომელიც ხელს შეუწყობს უკრაინის კრიზისის მშვიდობიან მოგვარებას და მიესალმება რაც შეიძლება ადრე გაიმართოს პირდაპირი დიალოგი რუსეთსა და უკრაინას შორის. ჩინეთი მხარს უჭერს დიალოგს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე და იცავს განუყოფელი უსაფრთხოების პრინციპს, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს დაბალანსებული, ეფექტური და მყარი ევროპული უსაფრთხოების მექანიზმი“. (2022 წლის 27 თებერვალი).

შესაბამისად, ჩინეთი არ აფიქსირებს კონკრეტულ პოზიციას, რადგან გაეროში ომის მშვიდობიან მოგვარებაზე საუბრისას, ერთდროულად იკავებს თავს რუსული აგრესიის აღიარებისგან და ეწინააღმდეგება სანქციებს. ჩინეთისეული „მშვიდობის“ განმარტებაც საეჭვოა, რადგან ის თავს იკავებს პუტინის ომის დამნაშავედ და რუსეთის აგრესორ სახელმწიფოდ გამოცხადებისაგან.

ადამიანის უფლებები, როგორც სენსიტიური თემა პაკინისტვის

28 თებერვალს ჩინეთმა მხარი არ დაუჭირა უკრაინის ინიციატივას გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში გადაუდებელი დებატების გამართვის შესახებ უკრაინაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ რუსეთის აგრესიიდან გამომდინარე.

49th UN Human Rights Council: Supporters of an Urgent Debate on the situation of Human Rights in Ukraine stemming from the Russian aggression



(Source: <https://twitter.com/aguirreol/status/1498250609404874752?s=21>)

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პეკინის მსგავსი ქცევა მოტივირებულია იმით, რომ დაფაროს ადამიანის უფლებების დარღვევა სინძიანის რეგიონში, უიღურ უმცირესობებზე. თანამედროვე სამყარომ კარგად იცის, რომ ადამიანის უფლებები ტაბუდადებული თემაა ჩინეთის მთავრობისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მის აღიარებასა და დაცვას.

დღესდღეობით, არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ თრგუნავს ჩინეთი თავის [მუსულმანურ უმცირესობებს სინძიან უიღურულ ავტონომიურ რეგიონში \(XUAR\)](#). უფლება-დამცველები აცხადებენ, რომ ჩინეთის მთავრობამ მილიონობით უიღური დააკავა და მოათავსა ე.წ. „განათლების ბანაკებში“, ათასობით კი დააპატიმრა. რამდენიმე ქვეყანა, როგორებიცაა - აშშ, ნიდერლანდები, კანადა - ჩინეთს სინძიანში უმცირესობების წინააღმდეგ გენოციდის მოწყობაში ადანაშაულებს. მტკიცებულებები ადასტურებს, რომ უიღურებს იძულებითი შრომისთვისაც იყენებენ, ქალებს ასტერილიზებენ, მათზე სექსუალურად ძალადობენ და აწამებენ. [საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად გამოხატავს ამ ქმედებებს](#). თუმცა, ჩინეთი აქტიურად ცდილობს უარყოს და დაფაროს მსგავსი უკანონო ქმედებები. მისი საშინაო პოლიტიკა ერთგვარი ნიშნულია, იმის თუ რატომ ეწინააღმდეგება ჩინეთი რუსეთის მიერ უკრაინაში ორკესტრირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოძიებას.

არის თუ არა ჩინეთის ტაივანის პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომში, ტერიტორიული მთლიანობის მტკიცების მიზანი ჩინეთისთვის?

პეკინის მცდელობების კვალდაკვალ მშვიდობისმყოფელის როლი შეასრულოს რუსეთ-უკრაინის ომში, ტაივანი შემოფოთებულია მოსალოდნელი სამხედრო საფრთხით, რადგან ჩინეთი გამოთქვამს პრეტენზიებს მის ტერიტორიაზე.

ტაივანი [1949 წლიდან](#) გამოცხადდა თვითმმართველ სახელმწიფოდ და დღემდე არ არის ჩინეთის კომუნისტური პარტიის კონტროლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, „ერთი ჩინეთის პოლიტიკის“ მიხედვით, პეკინი ტაივანს განიხილავს, როგორც მის ნაწილს, სადაც ჩინეთის კომუნისტური პარტია უნდა იყოს მისი ერთადერთი ლეგიტიმური მმართველი. მსოფლიოში მხოლოდ [თხუთმეტი სახელმწიფოა](#), რომელიც თავს იკავებს „ერთი ჩინეთის პოლიტიკის“ აღიარებისგან და ინარჩუნებს დიპლომატიურ კავშირებს ტაივანთან.

მაშინ როდესაც, რუსეთი აგრძელებს მძიმე სამხედრო ოპერაციებს უკრაინაში, ტაივანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პეკინი კვლავ [არღვევს ტაივანის საჰაერო სივრცის ერთიანობას](#) სამხედრო თვითმფრინავებით. მიუხედავად ამგვარი პრეცედენტების სიხშირისა წარსულშიც, ტაივანის შფოთვა განსაკუთრებით მკაფიო გახდა უკრაინის კრიზისის ფონზე. უსაფრთხოების ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ჩინეთი აკვირდება საერთაშორისო საზოგადოების რეაგირებას ბოლოდროინდელ მოვლენებზე და შესაბამისად გადაწყვეტს განახორციელოს თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილება ტაივანზე ზეწოლის პოლიტიკაში. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სპიკერი, ჰუა ჩუნიინგი აცხადებს, რომ ტაივანი [„უკრაინა არ არის“](#) და იგი ჩინეთის განუყოფელი პროვინციაა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ტაივანის შემოფოთებას.

[„The Diplomat“](#)-ის ცნობით, ტაივანისთვის ბრძოლაში პეკინს სანქციებით ვერ შეაშინებენ, რადგან მას უფრო მეტი რესურსი აქვს, დაეყრდნოს შიდა ბაზარს ეკონომიკური ბლოკადის დროს, ვიდრე რუსეთს. გარდა ამისა, უკრაინის წინააღმდეგ მოსკოვის სტრატეგიისგან განსხვავებით, ჩინეთს [არ შეუძლია პირდაპირ გადაკვეთოს ტაივანი](#) გეოგრაფიული მდებარეობისა და ლოგისტიკური საკითხების გამო. აქედან გამომდინარე, პეკინმა შეიძლება არ გამოიყენოს მსგავსი ტაქტიკა, მაგრამ, მიიღოს ე.წ. გაკვეთილები და სათავისოდ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

თუმცა, ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ჩინეთს უპასუხოს ტაივანის ხელში ჩაგდების შემთხვევაში განსხვავებულად, ვიდრე ეს ხდება რუსეთის შემთხვევაში. მაგალითად, თუ ჩვენ ვსაუბრობთ შეერთებულ შტატებზე, ვხედავთ, რომ ტაივანი მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს როგორც ტრამპის, ისე ბაიდენის ადმინისტრაციის დროს აშშ-სთან. პრეზიდენტ ტრამპის დროს, რამდენიმე [ოფიციალური ვიზიტი და მასობრივი სამხედრო მხარდაჭერაც კი განხორციელდა](#). ანალოგიური ტენდენცია გაგრძელდა ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგაც [„ბაიდენის მიერ თანამდებობის დაკავების დღიდან“](#). შესაბამისად, სინო-ტაივანური ომის ესკალაციის ფონზე, არაეფექტიანი სანქციების დაწესების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული აშშ-ის პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია.

იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიუხედავად საკუთარი გამოწვევებისა და უსაფრთხოების პრობლემებისა, ტაივანმა ღიად აღუთქვა მხარდაჭერა უკრაინას.

ჩინეთის დიპლომატიის სტრატეგია ომის დროს

ვიდრე რუსეთი უკრაინის ქალაქებს ბომბავს, ჩინეთი [აწარმოებს ომს კობერსივრცეში](#). ჩინეთი ამ ტაქტიკას იყენებს ყველაზე რთულ პერიოდში, ამ ხერხს ის მიმართავდა ტაივანშიც.


უკრაინაზე თავდასხმების დაწყების დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები, როგორებიცაა Xinhua, China News Service, CCTV, Global Times, Guancha აშუქებდნენ ცრუ ნარატივებს, ინფორმაციებს, რომლებსაც ფართოდ ავრცელებდნენ რუსული პროპაგანდისტული საშუალებები - Sputnik, TASS. ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინო სიუჟეტებია: [„მოსახლეობა კიევში საკმაოდ ბედნიერია რუსეთის შეჭრით“](#); [„პუტინი აცხადებს, რომ ასე იბრძვიან მხოლოდ ფაშისტები“](#); [„ოპოზიციონერი პარლამენტარი აცხადებს, რომ ზელენსკი უკვე გაიქცა პოლონეთში“](#); [„ზელენსკი კიევიდან გაიქცა“](#); ["მოგვიანებით იტყობინება, რომ უკრაინამ უარი თქვა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე"](#).



#Ukrainian President Volodymyr Zelenskyy has arrived in Poland, TASS news agency reported Friday.

21:13 · 04 Mar 22 · Twitter Web App


თვის, თუმცა იმავე მეთოდებს მიმართავენ ჩინელი ჟურნალისტებიც.



21:23 · 04 Mar 22 · Twitter Web App

მეტიც, ჩინეთის სახელმწიფო მედიის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ რუს ჯარისკაცებთან, ეგრეთ წოდებული „ოპერაცია Z“ ფარგლებში უკრაინაში სრულმასშტაბიან შეჭრამდეც. ჩინელი ჟურნალისტების მრავლობითი ინტერვიუები რუს ჯარისკაცებთან, მათი ადგილზე ყოფნის დასტურია. მსგავსი ქმედებები ძირითადად დამახასიათებელია რუსული სახელმწიფო მედიასაშუალებების-

ქვემოთ ვხედავთ [ჩინურ ტელეკომპანია Phoenix-ის რეპორტიორს](#) რუსული სამხედრო მანქანის წინ და მოგვიანებით რუს ჯარისკაცებთან ერთად:




ჩინეთის ანტიდასავლური განწყობები კარგად ჩანს ჩინურ მედიასაშუალებებში. პროპაგანდისტული კომენტარები პირდაპირ არ ეხება რუსეთ-უკრაინის ომს, თუმცა საუბრობს იმაზე, როგორ აიძულა ნატომ და აშშ-მა რუსეთი გადასულიყო „თავდაცვის“ რეჟიმში. რამდენიმე ჩინურ ვებგვერდზე ასევე არის სტატიები, რომელიც, ამ კუთხით, პირდაპირ ადანაშაულებს დასავლეთს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებს. ანტიამერიკული ნარატივები მოიცავს შემდეგ სათაურებს: [„აშშ-მ უკრაინას უთხრა, რომ ცეცხლი გაეხსნა, რათა მოეპოვებინა საერთაშორისო მხარდაჭერა“](#); [„კიდევ ელოდები დიდ ძმას, აშშ-ს?“](#); „ომზე პასუხისმგებელი აშშ და ნატო“. კომენტარები, რომლებიც ჩნდება Weibo-ს პოსტების ქვემოთ, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის, ჟაო ლიჯიანის ციტირებით, ასევე შეცდომაში შემყვანია და ამტკიცებს, რომ: [„ნატო გადაიხდის სისხლიან ვალს“, ან „ნატოს არ აქვს საზღვრები და მისი აგრესიული ამბიცია გამოიწვევს უკუშედეგებს“](#). გამოქვეყნებული ნარატივები მიზნად ისახავს შეცდომაში შეიყვანოს ჩინურენოვანი საზოგადოება ომის ქრონიკების შესახებ.

დასკვნა

რუსეთის აგრესიის შემდეგ მთელი მსოფლიოს დემოკრატიული სამყარო გაერთიანდა და უკრაინას სისტემატურად უჭერს მხარს დიპლომატიურად, პოლიტიკურად და სამხედრო თუ ჰუმანიტარული დახმარების თვალსაზრისით. ამ მიზეზით, [რუსეთ-მა აჯობა ირანს მსოფ-ლიოში ყველაზე სანქცირებული ქვეყნის ტიტულისთვის ბრძოლაში](#). ჩვენ ვხედავთ დასავლეთიდან მომდინარე უპრეცედენტო სანქციებს და პრეზიდენტ პუტინის, მისი მთავრობის, მათთან დაკავშირებული ადამიანების, ახლობლების და რუსი ოლიგარქების თითქმის სრულ იზოლაციას ცივილიზებული სამყაროსგან. თუმცა, ჩინეთი მათ შორის არ არის, რადგან ის თავს არიდებს რუსეთის ქმედებას უწოდოს „შეჭრა“, უარს ამბობს სანქციების დაწესებაზე და თავს იკავებს გაეროში კრემლის წინააღმდეგ ხმის მიცემისგან.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩინეთის დუმული, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორით იყოს გამოწვეული:

- პირველ რიგში, ეს არის ჩინეთ-რუსეთის ეკონომიკური და ფინანსური სიახლოვე. ომის დაწყებამდე, 4 თებერვალს, მოსკოვმა და პეკინმა ხელი მოაწერეს 117,5 მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობისა და გაზის ახალ შეთანხმებას, რაც რუსეთს აძლევს კონკრეტულ გარანტიებს, გააფართოოს თავისი ეკონომიკა აღმოსავლეთით და შემოუაროს დასავლური სანქციების ზეწოლას.
- ორი ავტორიტარული რეჟიმის გაერთიანებით დასავლეთის წინააღმდეგ, რაც კარგად აისახა ჩინეთის მიერ რუსეთის არგუმენტის მხარდაჭერაში ნატოს გაფართოების წინააღმდეგ.
- პეკინის მიერ მშვიდობისმყოფელის როლის მორგება, როცა აშშ-ს ადანაშაულებს და აცხადებს ომის მთავარ წამქეზებელად.



- ბოლო ფაქტორი უკავშირდება ადამიანის უფლებების საკითხების აცილებას, მის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო უიღურების, ტაივანის, ჰონკონგის, ტიბეტის და ა.შ. წინააღმდეგ.

საბოლოოდ, ოფიციალური პეკინის პოზიცია ბუნდოვანი და საეჭვო განცხადებებით არის გაჯერებული. ეს შემთხვევა გვაფიქრებინებს, რომ პეკინი კვლავ აკვირდება მოვლენებს და შესაბამისად, იმოქმედებს პირველ რიგში საკუთარ ინტერესების სასარგებლოდ. როგორც ჩანს, პეკინი ამ ეტაპზე შუამავლის როლის მორგებას შეეცდება, რაც სრულ თანხვედრაშია ჩინეთის ინტერესებთან როგორც სტრატეგიულად, ასევე ტაქტიკურად.

ჩინეთის პოზიცია იძლევა საშუალებას ორივე მხარესთან ჰქონდეს კავშირები და დიალოგის შესაძლებლობა. სტრატეგიულად, თუ ის რეალურად მოახერხებს მხარეების მაგიდასთან დასმას სამშვიდობო მოლაპარაკებების მისაღწევად, ჩნდება შანსიც, მოითხოვოს ჯილდო მშვიდობის დამყარებისთვის მთელი ევროპისა და მსოფლიოსთვის ამ უმძიმეს დროში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი შედგენილია უკრაინისა და ჩინეთის პრეზიდენტების დაგეგმილ მოლაპარაკებებამდე, რომელიც [მარტის ბოლოს/აპრილის დასაწყისში უნდა გაიმართოს](#). აუცილებლად მოგაწვდით ინფორმაციას, როგორც კი დიალოგის შინაარსი და შედეგები საჯარო გახდება.